# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთ ადრესი В Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, მომცრო ასოებით, ასოზე ნახევარი კაპეიკი, წვრილად ნაბეჭდის სტრიქონზე ორი კაპეიკი.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.



დღეს, ხუთშაბათს, 17 თებერვალს, დანიშნულია ქალაქის რჩევის დარბაზში, საღამოს 7 საათზე, შემდეგი

**კრება**

ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად.

---

**სამშაბათს, 22 თებერვალს ტფილისის კრუჟოკში**

გამართული იქნება

**ბალი**

ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულამოჭრილ კაბებით იყვნენ.

ბილეთები წინდაწინვე იყიდება შავერდოვის საგაზეთო საგენტოში, ხოლო ბალის დღეს—თვით კრუჟოკში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.


---

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

15 თებერვალს

**პეტერბურღი.** ფინანსთ მინისტრს უფლება მიეცა, საცა საჭიროდ დაინახავს, კერძო პირებს ნება მისცეს, რომ რომელიმე სხვა ქალაქში გასაგზავნი ფული ადგილობრივ ხაზინაში შეიტანონ და მეორე ქალაქის ხაზინიდამ მიიღებს ვისთვისაც ეს ფული დანიშნული იქნება.

**ხარკოვი.** აქაურ სამსაჯულო პალატამ დაიწყო დღეს გახხილვა პროცესის ფილიპოვის საქმისა, რომელსაც უფლების გადასვლა ბრალდება. პალატა იხილავს აგრეთვე ებრაელების საქმეს, რომელთაც შაიკა შეუდგენიათ გავრცელებში ნივთების საქურდლად.

### სამზღვარ გარეთიდამ

15 თებერვალს

**სოფია.** (ბოლგარია). ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე მოსკოვში მიდიან: ბოლგარიის მთავარი და ნაციონალურ კრების დეპუტაცია, რომელსაც მიტროპოლიტი ეყოლება წინამძღოლად.

**პეტერბურღის ბირჟა,** 15 თებერვალს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95—87 |
| მეორესი— — — — | 92 1/4— |
| მესამესი — — — — | 91—87 |
| მეოთხესი — — — | 91 1/2— |
| მეხუთესი — — — | 91—62 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 92— " |
| აღმოსავლეთის მეორე | 91—87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91—87 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8—14 |
| შინაგანის 5% სესხის ბილეთები: | |
| პირველი სესხის— — | 221 1/2— |
| მეორე სესხის — — | 216 3/4— |
| 100 მანეთი ღირს: | |
| ლონდონი— — | 24 5/32—პენსი |
| ჰამბურღი — — | 205 3/4— ცენტი |
| პარიჟი — — — | 254— " სანტიმი |

---

### ჩვენის მონასტრების შესახებ

ჩვენის მონასტრების შესახებ საუბარი ამ უკანასკნელ ხანებში უფრო-და-უფრო გვხვდება. აქამომდე მონასტრების ცხოვრება სრულებით მიყრუებულს მდგომარეობაში იყო და რაკი განდეგილთა სავანე შორს არის კაცთა მჩქეფარე ცხოვრებისაგანაო, დეე მიყრუებული იყვესო, რა ხელი გვაქვსო. მაგრამ ადამიანის ცხოვრება, მაინც ცხოვრებაა, საცა უნდა მიყუჩებული იყოს და ქვეყნისაგან განდეგილი იყოს, სიცოცხლეს თავისი მოთხოვნილება და საჭიროება აქვს.

აი, ამიტომაც მონასტრების ცხოვრებამაც ხმა ამოიღო და, აქამომდე მივიწყებულმა ყველასაგან, თავი გაგვახსენა.

რაც განდეგილობაშიაც უნდა იმყოფებოდეს ჩვენი მონასტრები, თავის წარსულს ცხოვრებას და მდგომარეობას ვერ დაივიწყებს, რომ იგი იყო შეკავშირებული მჩქეფარე ცხოვრებასთან, ამ ცხოვრებაში მონაწილე, მისთვის მოღვაწე და ერთგული თანამშრომელი.

სწორედ ამ გვარის აზრით არის სავსე „დროების" 29 ნომერში დაბეჭდილი „ხმა მონასტრიდამ". ამ წერილში პატივცემული მამა ბერი სწუხს ეხლანდელს მონასტრის ცხოვრებისაგამო, რომ იგი მიმკვდარა და ქვეყნისთვის ადრე მოღვაწეობა დღეს შეწყვეტილაო; წინადადებას აძლევს მონასტრებსა განათლების საქმეში მონაწილეობა მიიღონ და ათის თავი შემოსავლისა გადასდვან ღარიბთ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

როგორც გვახსოვს, ეს პირველი „ხმაა" მონასტრის ბერისაგან, საქვეყნო საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. პატივსაცემი აზრია, ღვთისაც და კაცისაც მოსაწონი.

მაგრამ თვითონ მონასტრებს კი, თავის განდეგილობაში, თავის მყუდროობაში არაფერი არ მართებთ, რომ თავისის ხელით გააკეთონ?

ზემოხსენებულ წერილში პატივცემული მამა ერთს რასმე ყურადღებას აქცევს. ეს რამ არის მონასტრის ზოგადი (საზოგადო) ცხოვრება. ამ ყრუთ ნათქვამით მამა ბერი უჩივის მისს მოშლას და ურჩევს, რომ მონასტრების ძველის წესის საფუძვლით განახლებულიყოს.

ეს აზრი დიდად ყურადღების მოსაქცევია. როგორც არა-ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი „დროებაშიაც", მეტადრე ზოგიერთ მონასტრებში მთელი შემოსავალ-გასავალი სწარმოებს წინამძღვრების ნებით და არა მთელის მონასტრის ძმათაგან. აქედგან მომდინარეობს ზოგჯერ ისეთი შემთხვევა, რომ ერთი ისაკუთრებს შემოსავალს, თვით თავის კმაყოფილებას ანდომებს და სხვა ძმანი კი სიღარიბეში და დიდს შეჭირვებაში იმყოფებიან. მამა ბერის აზრით აქ ჩანს, რომ, თუ ზოგადი ცხოვრება იქმნება, მონასტრის მთელი შემოსავალ-გასავალი რომ ძმათ ხელში იქმნება, რასაკვირველია, თვით ძმანიც ყველანი უფრო შეუჭირვებლად იცხოვრებენ და საზოგადო საქვეყნო სარგებლობასაც უწილადებენ. ასე უნდა აეხსნათ ზემოხსენებული აზრი წერილისა ზოგად ცხოვრებაზე.

მართლა რომ ამ საქმეს მონასტრის კეთილ-დღეობაზე დიდი მნიშვნელობა ექმნება და წინამძღვრებს კარგად უნდა ახსოვდესთ. დღეს ჩვენში იმისთანა მონასტრებია, რომელთაც სამასითხასი თუმანი შემოსავალი აქვთ

---

### «დროების» ფელეტონი, 17 თებერვ.

#### ქალი ის არის

ქალი ის არის,
ვინცა ნათლად სჯის
და არ მიჰყვება ამ სოფლის ცდომას;
ვინცა ნათლად ჰგრძნობს
და ვინც არ დასთმობს
მისთვის თვისს დიდსა მოვალეობას.

—

ვინც არა სცდება
და ემზადება
მტკიცედ მას ვალსა აღასრულებდეს;
მტკიცე ფეხითა,
მოთმინებითა
ამა ეკლიანს სოფლის გზასვლიდეს.

—

აქვს გული წრფელი,
სული ნათელი,
ვის მზაკვართ თვალი ვერ შეხებია;
და სათნოება,
სარწმუნოება
მთელს თავის არსში ღრმად უმარხია.

—

ვინც თავის სახლში
და არა ხალხში
ეძიებს თავის ბედნიერებას;
შრომა, თვის კერა,
სახლობის მზერა
მისთვის სჯობია სახლს გარე შვებას.

—

ვიცნობდი ერთსა;
მოწყალე ღმერთსა
გადმოეკლინა მაზედ თვის მადლი,
უმანკოება,
ჭეშმარიტება
მტკიცედ მას ჰქონდა გულს ჩანერგილი.

—

ის იყო ქალი.
იცოდა ვალი,
რისთვისაც ღმერთმა დაჰბადა სოფლად:
და იმ დიდს ვალსა
და მომავალსა,
ღვთისა მადლობით, სახავდა ნათლად.

—

ვით ცის ლაჟვარდი,
ედემის ვარდი,
ისე შვენოდა წმინდის შვენებით;
ვარსკვლავი დილის
მთიები ცისკრის
მას არა სჯობდა მშვენიერებით.

—

იყო ეგრეთი
ის ტურფა მტრედი;
უბედურთათვის ცრემლი სცვიოდა;
ობლებისათვის,
ოხრებისათვის
სული უკვნესდა, გული სტკიოდა.

—

ღვთით ქმნილი ასე,
კეთილით სავსე
არ ეკუთვნოდა ამა სოფელსა;
არსი ციური,
აქ მოგზაური
ის ეკუთვნოდა ედემს და ღმერთსა.

—

და წმინდა სული
იგი ასული,
თითქმის ჯერ ნორჩი, განჰქრა ერთს დილით.
განჰქრა, ვით ჰქრება
ცისა შვენება
ტურფად მთიები ცისკარს მზის სხივით.

—

სუფევს იმ სოფელს.
რა დარჩა მშობელს?
ვაზების ჩრდილში წმინდა სამარი!
ქვა სათვლავისა,
უბრალო კლდისა
და აღმართული ზედ წმინდა ჯვარი.

ვ. ო.

#### არამზადა ადვოკატი

(მოთხრობა)

წვეულობაა. ზალაში ურიცხვი ხალხია.

ვინ გნებავთ, რომ აქ არ იყოს: დიდი და პატარა, კაცი და ქალი მარდად და მხიარულად შეექცევიან. ოხუნჯობა, ხარხარი, თვალების არშიყულად თამაში, მანდილოსანთ კეკლუცობა, ტანცი და ლეკური ამშვენებენ და აცხოველებენ სტუმართ და მასპინძელთა.

მეთევანი კი, ქალი ყმაწვილი, სასიამოვნო და ეშხიანი, ზალის კუთ-

(მაგალითად იოანე ნათლის-მცემლისა) და სამი-ოთხი ბერი ჰყავთ. რა-საკვირველია, რომ ზოგად ცხოვრებით საკმაოდ ბევრის ფულის გადარჩენა შეუძლიათ, თუ თვით მონასტერზე სახმარებლად და გასამშვენებლად და თუ საქვეყნო საქმის სასარგებლოდ.

მაშასადამე ცხადია, რომ მონასტრებს შეუძლიათ კეთილს საქმესაც ხელი მიაწვდინონ.

მაგრამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, განა მონასტრებს თვითონ კი თავის ხელით აღარაფრის გაკეთება არ შეუძლიათ?

დიდაც შეუძლიათ იმ მონასტრებს, რომელნიც სოფლებში და ქალაქებში იმყოფებიან. მათ შეუძლიათ გამართონ პატარ-პატარა სკოლები (20-30 ყმაწვილისთვის) წერა-კითხვის სასწავლებლად. ეს კარგი შეღავათი იქმნება მეტადრე სოფლებისთვის, რომელთაც უძნელდებათ სკოლის გამართვა. თვით ბერები იქნებიან მასწავლებელნი და ამის გამო ხარჯიც ნაკლები მოუვათ. მეორეს მხრით ბერებს საქმე, პატიოსანი საქმე ექნებათ და უქმობის ეშმაკი აღარ წარუტყვევს სულსა.

ქალაქებსა და სოფლებს დაშორებულ მონასტრებსაც კარგი სასარგებლო რამ შეუძლიათ თავისის ხელით აწარმოვონ. დავასახელებთ სასულიერო და საეკკლესიო მწერლობას. ძველადგან ყოველ მონასტერში სუფრის სტოლი (ზოგან ქვითკირისა) გვიჩვენებს და მოგვითხრობს, რომ მას მიუსხდებოდენ დღით და სღამოთი მწერალნი ბერნი, ერთს ვრცელი გადასაწერი წიგნი და უკითხავდა (უკანასხებდა) ნელ-ნელა და ძმები სწერდენ. ამ გვარად ერთსა და იმავე დროს რამდენიმე წიგნი გადაიწერებოდა. ამასთანა შრომა სხვა მონასტრებში იყო და ერთმანერთს უცვლიდნენ ამ გადაწერილ წიგნებს, ან შესწირავდენ, ან გაჰყიდდენ.

ეხლა, მართალია, სტამბა არის, მაგრამ წიგნების გადაწერას კიდევ დიდი ადგილი უჭირავს, და მონასტრებს შეეძლოთ ერთმანეთთან მოლაპარაკებით, შეევსოთ თავიანთი ღარიბი ბიბლიოთეკები და გაემდიდრებინათ სასულიერო ლიტერატურა, საეკკლესიო მწერლობა. მრავალი წიგნებია დღეს თითოობით მიმოფანტული და ბერებს ღონის-ძიება არა აქვთ მის კითხვისა. კითხვა სასულიერო წიგნებისა ხომ საჭიროა.

ამ საგნისათვის მონასტრის წინამძღვრებს რომ ყურადღება მიექციათ, მრავალს ძვირფასს განძს მოიპოვებდენ საკუთრად სასულიეროს და საზოგადოდ საქართველოს მწერლობისას. ეს დიდი დამსახურება იქნებოდა ქვეყნის წინაშე და დიდად სასარგებლო თვით მონასტერთა ძმათა ზნეობითის განვითარებისა და ამაღლებისათვის. ძმებს უქმობას გადააჩვევდა და გადაარჩენდა ამდენს საყვედურს, რომელიც მონასტერთა ძმათ ცხოვრებაზე და ყოფა-ქცევაზე ისმის.

ერთს კიდევ დავსძინებდით.

რამდენსამე მონასტერს შეეძლო შეეერთებინა რამდენიმე წლის გადანარჩენი და ერთ-ერთ უფრო შეძლებულ მონასტერთან დაეარსებინა სტამბა საეკკლესიო, სასულიერო და ზნეობითის წიგნების ბეჭდვისათვის. (მოზრდილი სტამბა ძვირად არ დაჯდება: სულ ოთხასი თუმანი არ მოუნდება.) ეს დიდად შეეწეოდა ჩვენს სამღვდელოებას და ეკკლესიებს, რომელთაც ფრიად საჭირო წიგნები არა აქვთ და ვერც მოუპოვებიათ სიძვირისაგამო. რაკი თვით მონასტრის ძმანი იქნებოდენ მომუშავენი სტამბისა, ამწყობნი, მბეჭდავნი, კორრექტურის შემსწორებელნი, ყდის გამკეთებელნი,—ეს ძრიელ დააიაფებდა წიგნის ფასსა, მის ბეჭდვასა და მწერლობაც უფრო გახშირდებოდა და მოიფინებოდა ხალხში.

ეხლა ამ მოვალეობით რომ შეიკრას ერთად, მოვალეობით უკეთესად შეიძლება მონასტრის ცხოვრება წარიმართოს, ბერები რომ ბერდებიან და შეუწუხებენ თავს, რომ უთავოდ მიმდინარე დროს აძლიერებს. [illegible]

მეები გაალღვევებდა მონასტრის ეხლანდელ მიმკვდარებულ ცხოვრებას და დაამსგავსებდა ევროპის მონასტრებს, რომელთაგან ზოგიერთნი დიდს სარგებლობას აძლევენ თავისს მონასტრებსაც და ხალხსაც.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენს შენიშვნას უყურადღებოდ არ დააგდებენ მონასტრის წინამძღვარნი და სასულიერო მთავრობა.

ზ.

## დღიური

ჩვენს შენიშვნაზედ „თამარ დედოფლის“ ახლად გამოცემულს სურათის შესახებ, მოგვივიდა ბ. შტეენკოსაგან ცნობა, რომ ეს სურათი იმის ლიტოგრაფიაში ისყიდება.

თითონ სურათზედ უნდა ვთქვათ, რომ რამდენადაც შეეფერება იაფ ფასიანს სურათებს, საკმაოდ წმინდად არის გაკეთებული, ნამეტნავად თუ იმ რუსეთის იაფ ფასიანს სურათებს შევადარებთ, რომლებსაც აქა ჰყიდიან. ერთი ნაკლულევანება სურათისა მარტო თვალებში არის, რომელიც ცოტათი ელამად გამოსულა.

საზოგადოდ თამარ დედოფალი იქამდის ახსოვს ჩვენს ხალხს და იქამდის თაყვანსა სცემს მას, რომ უეჭველია ძალიან ბევრი გაისყიდება. ჩვენ ვურჩევთ ბ. შტეენკოს ეს სურათები სხვა ქალაქებში და სოფლებშიაც გაგზავნოს, მეტადრე ხევში, მთიულეთში და ხევსურეთში, სადაც დ უვიწყარი დედოფალი წმინდანადა ჰყავთ მიღებული და „პირი-მზედ“ დასახელებული.

* * *

ამბობენ ამ ცოტას ხანში შესდგება საზოგადოება, რომელიც სახალხო დროს გატარებას გამართავს ხოლმეო. მიზანი ამ საზოგადოებისა, როგორც ამბობენ, არის ბედნიერს დღეებში ხალხს გასართობი რამე მისცენ და ამით ააცდინონ თავიდგან ლოთობა, შფოთი და სხვა უწესოება.

ჩვენ წინადვე მივულოცავთ ამ სასარგებლო შემოღებას და ვისურვებთ, რომ ჩქარა ასრულებაში მოიყვანონ მოთავეებმა თავიანთი განზრახვა.

* * *

ამ ჟამად ერთი მთიელი ანზორ დახოი ჩამოსულა ქალაქში და ცდილობს ნება-რთვა აიღოს მმართებლობისაგან ყაზბეგის მთაზედ გზის გაყვანისთვის, რომ მსურველთ გაუადვილოს ამ კავკასიის უდიდესის მთის უფრო ახლო ნახვა.

ამას გარდა ის აპირებს მგზავრებისთვის ცხენების შენახვას და მომზადებას მგზავრთ მოსასვენებელს განწყობილებას, როგორც შენობით აგრეთვე საკვებით.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ ცოტას ხანში მთაში ყაზახებს ფარულად მოუკლავსთ ერთი წარჩინებული ჩაჩნელი მურთუზ-ალი.

* * *

ვერ გაგვიგია რა განზრახვით და რისთვის—პოლიცია უკრძალავს ამ უკანასკნელ დროს ფაეტონებს გაჩერებას ზოგიერთ ისეთ ქუჩებში, საცა ადრე ჩერდებოდენ; მაგ. სოლოლაკზე ადრე ორ ალაგას პატარა ბირჟასავით იყო, თ. ირაკლის სახლების ზემოდ, ფოსახევში, და ბ. ფითუაშვილის სახლების პირ-და-პირ;—როგორც კი გაჩერდებიან ახლა აქ ფაეტონები, პოლიციის სალდათები მაშინვე დაიჭერენ და აგდებენ.

მგონია მცხოვრებლებისათვის უკეთესი იყოს, რაც უფრო ადვილი საშოვარია ფაიტონი, რაც უფრო ბევრი ბირჟაა გამართული; მაგრამ ჩვენი პოლიცია ალბად სხვანაირად ჰფიქრობს...

* * *

გაზ. „თერგის“ მე-16 და მე-17 №№-ში დაბეჭდილია მოწინავე სტატია ბ. თუმანიშვილისა ოსების მდგო-

---

ხეში ზის და დაღონებული შესცქერის მხიარულებას. იმის სახეზედ გამოხატულია რაღაც სევდა. ხშირად ამოიოხრებს, წამოიწევს სავარძლიდამ, მაგრამ ისევ ჩაჯდება.

გვერდით მოუჯდა ნაცნობი ქალი.

— რა დაგემართა, ქალო, რომ დაგღონა?

— ცოტა უქეიფოთა ვარ.

— ვიცი, შეგატყვე: ის აქ არ არის ვანა?

— ვინ ის? აღშფოთებული შეიძახა ქეთევანმა, ადგა და საჩქაროდ მოშორდა.

— ღმერთო ჩემო, თავისთვის წაიბუტბუტა ქეთევანმა,—მე რა მაწუხებს და ესენი რაებს ჰფიქრობენ ჩემზე.

— ქეთევან! ქეთევან! ერთი ვალსი დაუაროთ. მდიდრად მორთულმა კავალერმა სთხოვა თამაში.

— არა, გეთაყვა, არ შემიძლია; ქეიფზე არა ვარ.

— ქეიფზე არ ბრძანდებით! ბაგვივის! მერწმუნეთ მებრალებით!

— ყმაწვილო, რაებს ბოდავ! სირცხვილია!

— სირცხვილია! ხა, ხა, ხა! გადაიხარხარა კავალერმა.

ქეთევანი ამასაც საჩქაროდ მოშორდა და იმის მშვიდობიან სახეს მწუხარება უფრო ნათლად გამოეხატა. დასტოვა ზალა, შევიდა მეორე ოთახში და სულით დაქანცული დაეცა ტახტზედ.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ის კავალერი შემოვიდა ქეთევანთან და წაუჩურჩულა:

— ქეთევან, მოვიდა ვისაც მოელოდი.

ქეთევანი აღელვებული წამოვარდა, გავიდა ოთახიდამ, უკან აღარ მოუხედნია, ჩაირბინა კიბე და გაეშურა შინისკენ.

შეწუხებული მივიდა სახლში. იმის მშვენიერ თვალებიდამ ნაკადულსავით ცვივოდა ცრემლები.

რა აწუხებდა და რას ეუბნებოდენ! ჭორით სავსეა ქვეყანა, ჭორიანობენ ყველაზედ; მაგრამ ჭორი ყველაზე უფრო არ იბრალებს ქალს, თუ მეტადრე ქალი ლამაზი და ეშხიანია.

X

მშვენიერი გაზაფხულის დილაა. ბუნება შემოსილია მწვანე სამოსით და ფრინველთ გალობა და ჭიკჭიკი ატკბობს გულსა და ყურთა.

სამი ცხენოსანი კაცი ამ მშვენიერ დილას ნელ-ნელა მიემგზავრებოდენ ერთ სოფლის შარა-გზაზედ. ბუნება თავის მშვენიერებით მათ არ იზიდავდა. ეს უგრძნობნი არსებანი შეექცეოდენ მხოლოდ ლაპარაკით.

სამი ცხენოსანი გახლდათ: მსუქანი სამსაჯულო ბოქაული, გამხმარი ადვოკატი და არც გამხმარი და არც მსუქანი მათი მხლებელი ბუჩუა.

მგზავრები შეჩერდენ სოფლის დუქანში, რომელიც შარა-გზაზე ვაჭრობდა და აქ განიძრახეს სადილის ჭამა. მედუქნე, იმერელი გლეხი, დატრიალდა ძვირფასი სტუმრებისათვის.

წააგდებინა თავი კარგ ნასუქ ყვერულს და შეუდგა სადილის მზადებას. მგზავრები ჩამოხტენ ცხენებიდამ და არხეინად გაგორდენ მწვანეზედ.

— რამდენი დაგპირდა ურიამ მაგ საქმის ასრულებაში? ჰკითხა ბოქაულმა ადვოკატს.

— ცოტა! ჩემი ხარჯით დავჯერდი ვალის ნახევარს.

— რაღა ტოტაა, შე დალოცვილო! კარგად გაგიცურებია აბრამა!

— ამასაც არ დავჯერდებოდი, მაგრამ მე ეს საქმე სულ სხვა განზრახვით ავიღე...

— ნეტა რა განზრახვა უნდა იყოს?

— მოვალეს კეკლუცი ცოლი ქეთევანი ხომ გინახავ?

— მივხვდი! მივხვდი! დროც ეხლა გაქვს, რაღა?

— რა ლამაზია, შენი ჭირიმე! მადიანად წარმოსთქვა ადვოკატმა.

გაიშალა იმერული სუფრა. იმერულ სუფრას მოჰყვა იმერული ქეიფი. შეზარხოშდენ მგზავრები; დასძახეს ჩვეულებრივი „მრავალ ჟამიერ“,

მარეობაზედ ვლადიკავკაზის მაზრაში. ავტორის სიტყვით, ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან და მიზეზად მიწის სიღარიბე და სიმცირე მოჰყავს. ამის საშველად ის ურჩევს იქაურს მთავრობას ჩამოართვას—გადამეტებული მიწები ყაზახებს, მიემატოს ეს მიწები თავისუფალს სახელმწიფო მიწებს და გაუნაწილოს ოსებს.

სრულიად თანახმანი ვართ ამ სტატიის ავტორისა, მაგრამ ერთი ის გვაკვირვებს, რომ ბ. თულათოვი მარტო ოსების მდგომარეობას შეეხება და თავი დაუნებებია ჩერქეზებისა და ჩეჩნებისათვის, რომელთ ეკონომიური მდგომარეობა ამ მხრით უფრო სამწუხაროა, ვიდრე ოსებისა. ოსებს აქვს, მაინც რამე, მაგრამ ჩეჩნებს-კი თითქმის სრულიად არაფერი, და, საქონლისა გამრავლებაც-კი რომ უნდოდესთ, ისიც ველარ მოუხერხებიათ.

* * *

ჩეჩენში, გროზნის მახლობლად, შავ მთებში უპოვიათ გამოქვაბული კლდეები, რომელსაც ჩეჩნები ეკკლესიებს უწოდებენო. შიგ რამდენიმე კაცის ძვლები და ერთიც დაუშლელი მკვდარი უპოვნიათ რომელსაც დაუშლელივე ჩექმები შერჩენია ფეხებზედ. ჩეჩნები ამბობენ, რომ იმ გვარი წალები ეხლა აღარსად გვინახავსო და არც გვახსოვსო.

კარგი იქნებოდა, რომ ეს ადგილები გაეშინჯათ, იქნება შიგ კიდევ ბევრი რამ ეპოვათ, რომელიც შუქს მოჰფენდა ჩვენს ისტორიას და გამოაშკარავებდა ამ ხალხის ქართველებთან დამოკიდებულებას. თითონ ჩეჩენი ამ ადგილს თურმე არ ეკარებიან, როგორც წმინდა ადგილს.

* * *

„მეღუ“ აცნობებენ, რომ სომხის აქტიორი ადამიანი ჩასულა მოსკოვში წარმოდგენების გასამართავად.

აღარ ისმის, გამართეს თუ არა ქართველ სტუდენტებმა ქართული წარმოდგენა პეტერბურგში, სადაც, როგორც ვაცნობებდით მკითხველებს, დაიბარეს ტფილისიდამ ა. მოჩხუბარიძის—„არსენა“ და ა. ცაგარელის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ფოთი, 13 თებერვალს. 5 ამ თებერვალს იყო ჩვენი ქალაქის რჩევის სხდომა. საგნები განსახილველად დანიშნული იყო თერამეტამდინ. არ ვიცი რა მიზეზი იყო ამდენი საქმეების ერთად შეყრისა! სხდომა გაიხსნა 7 საათზედ და პირველად იწყეს ამორჩევა ზღვის სასწავლებლის კამიტეტისა, რადგანაც ძველებს ვადა გაუთავდათ. ამაზე ბევრი ლაპარაკი არ გაგრძელებულა: დარჩენ ისევ ძველები, მოუმატეს მარტო ორი ახალი პირი.

ეს საგანი მეტი ყურადღების ღირსი იყო; სასწავლებელში ოთხი ყმაწვილის მეტი არ არის, ფული კი 1600 მანეთამდი უნდებ! უნდა გაესინჯათ წესდებულება ამ სასწავლებლისა ადგილის მოთხოვნილებით. მარტო თეორია, რომელსაც სწავლობენ აქ ყმაწვილები, არ არის საკმაო; აქ უმეტესად პრაქტიკული სწავლა უნდა იყოს, რომელზედაც სრულიად არ არის ყურადღება მიქცეული. მოხუცი მატროსებიც ბევრგან დადიან, სადაც ამ ნაირი სასწავლებლებია, და იქ იძენენ რაიცა საჭიროა მათთვის. აქ კი ამისთანას ვერას ვხედავთ. ამის მიზეზი კამიტეტმა უნდა გამოიკვლიოს, რომ შემდეგში მაინც იქმნეს სასწავლებელი გამოსადეგი. ამისათვის საჭიროა კამიტეტში ნასწავლი და გამოცდილი ზღვის კაპიტნების მოწვევა, რომლებსაც შეუძლიათ ამ ნაკლულევანების გასწორება და ამითი მიიზიდონ უმეტესი რიცხვი მოსწავლეებისა.

მეორე საგანი იყო ამორჩევა ქალების სკოლის კამიტეტისა და ესენიც იქმნენ ამორჩეულნი. ჩემის აზრით, უმჯობესი იქმნებოდა, რომ უპრავას თვითონ საზოგადოება შეეკრიბა და იმათ ამოერჩიათ, მიტომ რომ ბევრი იმისთანა პირები დარჩენ, რომლებსაც სიკეთის მოტანა შეეძლოთ ამ სასწავლებლისათვის. კაცი ერთმანეთს რომ ნახავს და მოილაპარაკებს, სულ სხვაა, ვინამ უნახავად ამორჩევა იმ პირისა, ვინც მოგაგონდება. ისიც უნდა ვსთქვა, რომ ხმოსნებში შეიძლება ნაკლები ამოჩნდეს მცოდნენი სხვა-და-სხვა საქმისა და უკეთესი იქმნებოდა, რომ საზოგადოებას აერჩია გარეშე პირთაგანიც საქმის მცოდნენი.

მესამე საქმე იყო—მოხსენება უპრავისა, რომ ქალაქის ადგილები მალთაყევასა და მდ. პაპარჭინას შუა უჭირავთ უკანონოდ სხვა-და-სხვა პირებს და გარეშე მცხოვრებს, რომლებიც იხდიან მცირე გადასახადს—დესეტინაზე ორ მანეთს—და ეს ადგილები ამათ ჩამოერთვასო, ნაცვლად მიეცესთ მარჯვენივ გვერდზე წყლის გაღმა, და მაშინ იმედია შემოვიდესო 1200 მანეთამდინ.

ამაზედ ერთმა ხმოსანთაგანმა სთქვა: —ძლიერ მოსაწონია ქალაქის შეძენა, გამრავლება შემოსავლისა, მაგრამ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ მართებლობამ ხალხი მოიწვია ამისთანა საშიშ ადგილს, სადაც ავადმყოფობით და მტრებისაგანაც, რადგან საზღვარი იყო, შეწუხდა; ბევრს შეწევნას შეპირდა ქალაქი; ეხლა კი ყველაფერს მოკლებულია ხალხი და მას მაგიერად რას უნდა შევეწიოთ? მე ვიცი ისეთი კაცები, რომლებიც ცხოვრობენ მიწის მუშაობით, გაუკეთებიათ ბაღები და ყანები და ახლა როგორ შეიძლება იმათი აყრა? თუ უკანონოდ აქვს ვისმე, შეძლება იმათი ჩამორთმევა და რაიცა შეეხება მოქალაქე მცხოვრებლებს, იმათ უნდა ჰქონდეთ დანიშნული კამისიის შეხედულებით. გადასახადს მოემატოს და უკანონოდ თუ ვისმე უჭირავს, ჩამოერთოს და ღარიბებს მიეცეს სასარგებლოდ ორ-ორი დესიატინა.

ყველანი დათანხმდენ ამაზედ და დაინიშნა კამისია, რომელიც, იმედია, კარგად წაიყვანს საქმეს.

მეოთხე საქმე იყო—დანიშნვა აღმასრულებელ ჩინოვნიკისა. რადგან გადასახადი ძველის წლებისა არის ათას თუმნამდინ დარჩენილი, უპრავას დაუნახავს საჭიროდ ჩინოვნიკის დანიშნვა. ერთმა ხმოსანთაგანმა სთქვა ამაზედ:

— წინა სხდომაში ჩვენ მივანდეთ ბ. წევრს ჭ—ძეს შეკრება ამ ფულისა; აგრეთვე მას მიეცა ცხრა თვე ვადა ამ საქმისათვის, და ეხლა ასე მალე რად შეიქმნა ჩინოვნიკი საჭირო? ჩვენ ვტირით უფულობაზედ, ხარჯს კი უმატებთ! უკეთესი იქმნება, ჩემის აზრით, დაინიშნოს ფულის მამკრეფი და ეთხოვოს ბ. პოლიციმესტერს, რომ მიაგვცეს შემწეობა და მას გააყოლოს პრისტავი, როცა საჭირო იქმნება.“

ამაზედ ხანგრძლივი ბაასი შეიქმნა. ბევრი უარს ამბობდა და ბევრი საჭიროდ რაცხდა ჩინოვნიკს. ბოლოს ქალაქის თავმა მოაგროვა ხმა და უმეტეს ნაწილმა განაცხადა ჩინოვნიკის დანიშნვის სურვილი.

შემდეგ იყო ლაპარაკი ქუჩების ზედამხედველის დანიშნვაზედ, დაუნიშნეს 300 მანეთი. აგრეთვე ილაპარაკეს შავის-ზღვის სათევზედ მიცემა; მისცეს მსურველს 200 მანეთად.

მოისმინეს მოხსენება პარახოდებისა და ნავებისა ხარჯის დადებაზედ; ნება მიეცა ქალაქს ქირის აღებისა...

ჩვენი ქალაქის ბედი ახლა ქალაქის თვით-მმართველობის ხელშია. ამიტომაც მას წინდახედულობა ჰმართებს და ენერგია, რომ საქმე კარგად წაი-

---

დალოცეს ადვოკატი და ისურვეს მისთვის ქეთევანზე „გამარჯვება“.

— ბიჭო, შენ, ერთი გოგო მოგვგვარე... ადვოკატმა შესძახა მედუქნეს.

— ნუ ინებებთ მაგას, თქვენი ჭირიმე! ჩვენი ქალები ნამუსის შემნახავი ქალები არიან, ბატონო.

— შენ ნუ მომიკვდები, დიდი საქნელია თქვენი ნამუსი. სწორედ მაგ ნამუსი გაგამდიდრებთ! ბრძანა ადვოკატმა, განათლებულმა და ახალი დროის კაცმა.

მზე დასავლეთისკენ იხრებოდა, ჩვენი მგზავრები კიდევ შეექცეოდენ. ბუჭუმაც ბატონების პატივისცემისათვის რამდენჯერმე დაუარა ლეკური. ბოლოს „ნუნუამ“ მიბნიდა მოქეიფენი და იქვე მისცა განსვენებას.

×

პატარა სერზედ, აღმოსავლეთით ქუთაისიდგან, გაშენებულია ერთი პატარა და ლამაზი სოფელი. სოფელს ამშვენებს ძველი ნანგრევები, რომელშიაც, როგორც გადმოცემები მოგვითხრობს, არა-ერთხელ განუსვენებიათ იმერთა მეფეთ. ამ ძველ ნაშთის მახლობლად დგას ორ-სართულიანი ხის სახლი იმერელი თავადიშვილისა.

სახლის პატრონი იმ დღეს, როცა მოხდა აღწერილი ამბავი, არ იყო შინ. იმის ცოლი ქეთევანი-კი შინ იყო. დიდი ხანი არ არის კნეინა ქუთაისიდამ ჩავიდა თავის ქმრის მამულში.

შუადღე იყო, რომ თავადის სადგომს მოადგენ ჩვენი მგზავრები. ოდაში შეიქმნა არა-ჩვეულებრივი მოძრაობა. ქალბატონი გამოეგება სტუმრებს და თავაზიანად მიიწვია სასტუმროში.

შემდგომ ჩვეულებრივი მოკითხვისა და საუბარისა ადვოკატმა დაიწყო:

— ჩვენ გიახელით, კნეინა, რომ მივიღოთ დაკმაყოფილება თქვენი მეუღლის ვალისა. თქვენი კრედიტორის ვექილი მე გახლავართ და თუ ვერ დავკმაყოფილდი, იძულებული ვიქმნები კანონისამებრ მოვიყვანო საქმე სისრულეში. „სუდებნი პრისტავიც“ თან მახლავს ამ შემთხვევისათვის.

— ჰო, ბატონო! მაგრამ ჩემი ქმარი შინ არ გახლავსთ. მე მაგ საქმის არა მესმის-რა. თუ შეიძლება, ჩემი ქმრის მოსვლამდინ საქმე გადადევით?

ადვოკატს პირმა გაუღიმა, როცა შეიტყო ქეთევანის ქმრის სახლში არ ყოფნა.

— არა, არ შეიძლება! ჩვენ ხომ უკან ვერ გავბრუნდებით! ჩვენთვის სულ ერთია; ჩვენ გვინდა თქვენი მამული და არა თქვენი ქმარი.

— ნუ თუ არავითარი საშუალობა არ არის?! დაღონებული სთქვა ქეთევანმა.

— რატომ... ეს თქვენზეა დამოკიდებული... ალერსიანად წარმოსთქვა ადვოკატმა. ამ დროს მან ანიშნა თვალებით მსაჯულთ-ბოქაულს, რომ გარეთ გასულიყო. ბოქაული გავიდა.

— რა საშუალობაა? ჩემი მხრით თავს არ დავზოგავ, თუ რამე შეღავათი მოგვეცა.

— დიახ, თქვენზეა დამოკიდებული... თქვენი ერთი...... ადვოკატს უჭირდა სიტყვის დასრულება.

— ბრძანეთ. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი რჩევისათვის:

— თქვენი ერთ ღამეს დროს გატარება ჩემთან საკმაოა, რომ ყოველივე თქვენი თხოვნა ამ საქმის თაობაზე აღვასრულო.

— ვაიმე! საშინლად დაჰკივლა ქეთევანმა და გულ-წასული გადავარდა იატაკზედ.

ქალბატონის კივილზე შემოვარდენ ოთახში გოგოები. უგონო და გაყვითლებული ქეთევანი გაიყვანეს საწოლ ოთახში.

იმ საათშივე ადვოკატის ჩვენებით ბოქაულმა აღწერა გასასყიდად ყოველივე უძრავი ქონება თავადიშვილისა, რომელიც იყო ულირსი ქმარი ღირსეულის ქეთევანისა.

ალ. აკოფაშვილი.

ქ. ქუთაისი.

ყვანოს, თორემ ფოთი სრულიად დაეცემა. დღემდინ ქალაქს ჰქონდა სუბსიდია ტამოჟნიდგან შესაწევნელად ხუთი პროცენტი, რომელიც ოციათას მან. შეადგენდა წელიწადში. აჰას დაუმტკიცეთ ხარჯიც 10,000 და გზის ალაგიც, ვინაიდგან ბათუმის გზა მზად არის და ამ ორ თვეში უეჭველად გაიხსნება.

დამსწრე.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხუმთანოვის ქუჩა, იზვეკოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ 10½-მდინ ნავასარტიანცი—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნავასარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაჩუსის ხელმძღვანელობით.

# განცხადებანი

ლიტოგრაფიული სურათი

## თამარ-მეფისა

იყიდება შტეენკის ლიტოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის—30 კაპ. (3—1)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

და

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

**ქირით იძლევა**

ერთი დიდი ორ-განყოფილებიანი ზალა თ. მუხრანსკის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე. იკითხეთ „შვეიცარიის“ რესტორანში. (3—3)

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| მუშამბის ნავთის ლამპა—1 მ. 10 კ. მოხრილის ლამპა—1 მ. 40 კ. | |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, და 50 პროცენტით უფრო იაფად ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—34)

დაიბეჭდა და იყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

ახალი

## წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეა № 149, 150 ბ. ჯუაბაძის ბიბლიოთეკასთან

იყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველგვარი წიგნები.

აქვე იყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—2)

**განცხადება**

ქალაქ ბათუმის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, ამ გამგეობის თანა დასწრებით, ამა **1883** წლის მარტის 3-ს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი), სამის დღის შემდეგ ჰერეტორჟკით, ბათუმში წყლის გაყვანის მუშაობაზედ, გარდა საჭირო რკინის ნაწილებისა, სულ **14,328** მანეთისა და **30** კაპ.

დაწვრილებითი პირობებისა (კანდიციების) და აგრეთვე სმეტის ნახვა მსურველს შეუძლიან ბათუმის ქალაქის უპრავლენიეში მუდამ დღე დილის **8** საათიდამ ნაშუადღევის **2** საათამდინ. (3—2)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და იყიდება გამომცემლის ზაქარია ჩიქოვანის (?) წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც უდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ჩიქოვანის მაღაზიაშივე იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუყოვნებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და იყიდება ჩიქოვანის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. უდისათვის უნდა დაუმატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; იყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

## „ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

იყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპეიკად. (10—3)

**ინგლისური რკინის კრავატები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე იყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—21)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

**ტაქსის**

საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Февраля 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი